ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4897033

ნომერი: AR1726186

თარიღი : 24.12.2019

გაცემის თარიღი : 16.03.2020

გაცნობის თარიღი : 08.04.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გ. ტაბიძე , N10-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მარტიაშვილი პ/ნ 01001014056
- თბილისი საბურთალოს ქ. N 42 კორ. 2 ბ. 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

24/12/2019 წლის AR1726186 განცხადების პასუხად, რომელშიც ითხოვთ N01.15.05.075.019; საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე რროებითი შენობა -ნაგებობის განთავსების მიზნით წერილობითი თანხმობის გაცემას, გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N01.15.05.075.019 დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელი ზონა 5 (სზ–5)-ში. სზ-5 წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეული საცხოვრებელი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები;

კოეფიციენტები:
კ-1 0,5 კოეფიციენტი
კ-2 2,1 კოეფიციენტი
კ-3 0,3 კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე – ერთეული/ჰა მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები:
მინიმალური ფართობი 400 * / 500 კვ.მ
მინიმალური სიგანე 12 * / 15 მეტრი.
მინიმალური სიღრმე 20 * / 25 მეტრი.
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე ** მეტრი.
შენიშვნა : * ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისთვის.
** განისაზღვრება მიმდებარე განაშენიანების შესაბამისად.

ვინაიდან წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის ფართობი და გაბარიტები ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების 24-ე მუხლის შესაბამისად იძულებით (განპირობებული) შეუსაბამო უძრავი ობიექტებისათვის ინდივიდუალური პარამეტრების დასადგენად უნდა მოითხოვოთ სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, რისთვისაც განცხადება უნდა ატვირთოთ urban.tbilisi.gov.ge > სპეციალური (ზონალური) შეთანხმება - > ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.